

## მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აკრედიტებული პროგრამების გავლის მსურველთა საყურადღებოდ !

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2009 წლის 14-დან 28 სექტემბრის ჩათვლით აცხადებს მასწავლებელთა რეგისტრაციას პროფესიული განვითარების შემდეგ აკრედიტებულ პროგრამებზე:

1. ინგლისური ენა და მისი სწავლების მეთოდის აქტუალური პრობლემები (პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ონიანი)
2. VII-X კლასების ხელოვნების მასწავლებელთა თეორიული ცოდნის ამალგა და პროფესიული უნარ-ჩვევის განვითარება (პროგრამის ხელმძღვანელი ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი თამთა თურმანიძე)
3. ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში რუსულის, როგორც უცხო ენის სწავლების თანამედროვე თეორიულ-მეთოდური და ტექნოლოგიური ასპექტები (პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მზია ფარქოსაძე)
4. ბიოლოგიის სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში (პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი შოთა ჯინჯოლია)
5. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა (პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ანჯიკო ჯიშკარიანი)
6. ინკლუზიური განათლება (პროგრამის ხელმძღვანელი განათლების მეცნიერებათა დოქტორი იაგორ ბალანჩივაძე)
7. ქიმის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მეორე და მესამე საფეხურზე (პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნინო კახიძე)
8. მუსიკის სწავლების მეთოდიკა დაწყებით (I-VI) კლასებში (პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მაგდა თხილავა)
9. გერმანული ენა და მისი სწავლების აქტუალური პრობლემები (პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი თეონა ნიჟარაძე)
10. ფრანგული ენა და მისი სწავლების აქტუალური პრობლემები (პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ჟორჟოლიანი)
11. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა სახვით და გამოყენებით (შრომით) ხელოვნებაში (I-IV კლასები)
12. დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) საბუნებისმეტყველო დისციპლინის სწავლების მეთოდიკა (პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მზია კუბეცია)
13. სწავლებისა და განვითარების თეორიები და მათი გამოყენება მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამალგებისათვის (პროგრამის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი იმერი ბასილაძე)

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა რეგისტრაციის დროს უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. პირადობის მოწმობის ასლი
2. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან
3. ცნობა სამუშაო ადგილიდან (თუ მუშაობს)
4. ვაუჩერი (ვაუჩერის არ არსებობის შემთხვევაში პედაგოგი საკუთარი ხარჯით ფარავს სწავლის საფასურს)

**პროგრამის განხორციელება დაიწყება 2009 წლის 2 ოქტომბრიდან.**

რეგისტრაცია იწარმოებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე მისამართზე: თამარ მეფის ქ. № 59, პირველი კორპუსი, აუდიტორია №1211.

**საკონტაქტო ტელეფონი: 8 (231) 4 -12 -93**